22:10 Thu 11 Nov
69%
AA
Not Secure — maps.tbilisi.gov.ge
Architect.Tbilisi.Gov.Ge - არქიტექტურა
თბილისის მერიის ერთიანი რუკა

რუკა

01.14.02.025.251

ENG

ავტორიზაცია

- » შეზღუდვის ზონები
- » სახელმძღვანელო/ მეთოდოლოგიური დოკუმენტები
- » გამწვანება და რეკრეაცია
- » სასაფლაოები
- » ჰიდროგრაფია
- » გზები და შენობები
- » პარკირება
- » საზოგადოებრივი ტრანსპორტის სივრცითი დაფარვა (დაგეგმილი)
- » საინტერესო ობიექტები
- ხაზობრივი ნაგებობები
  - » ელ. მომარაგების ძირითადი ქსელი
  - » სადრენაჟო ინფრასტრუქტურა
  - წყალმომარაგების ძირითადი ქსელი
    - შეზღუდვები
    - წყალმომარაგების ძირითადი ქსელი
  - » ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი
  - ინტერნეტ ქსელი
    - ქა, ბოძი და კარადა
    - მიწისქვეშა და საჰაერო ქსელი
- » ინფრასტრუქტურული ობიექტები
- » ბიზნეს ობიექტები

2020 სატესტო ორთოფოტო

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

მეტრული

მასშტაბი= 1 : 0.3K

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 405

7 სექტემბერი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში , ნუცუბიძის ფერდობი III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ. №01.14.02.025.251) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ბი.აი.ჯის"(ს/კ. 401983396) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ.თბილისში , ფერდობი ნუცუბიძე, III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ. №01.14.02.025.251) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ბი.აი.ჯის"(ს/კ. 401983396) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 სექტემბრის №21.1213.1383 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ბი.აი.ჯის"(ს/კ. 401983396) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ. №01.14.02.025.251) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 6,7-ით.

ბ) შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებით;

ე) შპს ბი.აი.ჯი“-მ (ს/კ. 401983396) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე წარმოადგინოს მზიდი კონსტრუქციის მდგრადობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა და განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 472

24 სექტემბერი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. №25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის №01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 სექტემბრის №21.1309.1466 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. №25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის №01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №0121204573-67 (№01212291447-67; №0121235765-67; №012125431-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

განკარგულება - N 21.1309.1466
17 / სექტემბერი / 2021 წ.

,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 23 ივლისის N0121204573-67 (N01212291447-67; N0121235765-67; N012125431-67) განცხადებით მიმართა ლაშა ხარშილაძემ (პ/ნ 01007015475) და მოითხოვა ,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.025.262; N01.14.02.025.249; N01.14.02.025.245; N01.14.02.025.244; N01.14.02.025.247; N01.14.02.025.248; N01.14.02.025.242; N01.14.02.025.251); ჯამური ფართობი 13 954 კვ.მ.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.063; 01.14.02.025.062) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N354 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომლის მიხედვითაც, განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტი დადგენილი კ-2=3.0 გაიზარდა 4.3-მდე. კოეფიციენტის გადამეტების მიზეზად დასახელდა არსებული კომპლექსის მშენებლობის დასრულების ხელშეწყობა. ასევე, შპს "ბი აი ჯი"-ს მშენებარე კორპუსის პარამეტრების გაუმჯობესების მიზნით, შპს "სვეტი ნუცუბიძე" გადასცემს მას აღნიშნულ ნაკვეთს - 770 კვ.მ მიწის ფართს.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N354 განკარგულებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი III მიკრორაიონში

არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.063; 01.14.02.025.062) განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N159 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმის უმნიშვნელო კორექტირების, კერძოდ, მიწის ნაკვეთების პირობითი ნომრით N1 და N10 კონფიგურაციის ცვლილებას, მათი ფართობების უცვლელად.

,,რიგი ობიექტებისთვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 ოქტომბრის N332 განკარგულებით დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიენიჭა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ჭუჩა N125ა მისამართზე მდებარე N01.14.02.025.062 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის 2019 წლის 23 ნოემბრის N10 ოქმის შესაბამისად, დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მქონე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.062 (13 474 კვ.მ)) განისაზღვრა კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 65 591 კვ.მ, ხოლო N01.14.02.025.063 მიწის ნაკვეთს 480 კვ.მ-ს არ მინიჭებია დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი, რომელსაც კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი განესაზღვრა 8 430 კვ.მ განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ჯამური კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი განისაზღვრა 74 021 კვ.მ-ით.

,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N438 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.

შემდგომ, ,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის N86 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომლის მიხედვითაც, ცვლილება შეეხო მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომის N10 ოქმის შესაბამისად, დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე (13 474 კვ.მ) კორექტირებას. მცირედით შეიცვალა მიწის ნაკვეთების განაწილება, შენობათა განთავსება დარჩა უცვლელი, მიწის ნაკვეთის მცირედი ცვლილების შედეგად შეიცვალა თითოეული სექტორისათვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 23 თებერვლის N5 ოქმის შესაბამისად, გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე არეალზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი, 3 სართულით გაიზარდა სექტორ N1-ში განთავსებული შენობა-ნაგებობა. კერძოდ, დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე არეალზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი გაიზარდა 459 კვ.მ-ით; 65 591 კვ.მ-დან 66 050 კვ.მ-მდე. ხოლო,

დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის არმქონე არეალზე დარჩა ისევ 8 430 კვ.მ განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ჯამური კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობია 74 480 კვ.მ გაიზარდა ჯამური კ-2 კოეფიციენტი კ-2=5,7-დან კ-2=5,8-მდე, თუმცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომის N10 ოქმით დადგენილ კ-2=5,8-ს არ გადაუჭარბებია.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). (სზ-6- 12 908 კვ.მ. ტზ-1-1046 კვ.მ.) ფუნქცია: საცხოვრებელი, კომერციული;

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით მთლიანი საპროექტო ტერიტორიისთვის:

მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი: 13 954 კვ.მ

კ1- 7 350 / 13 954=0.5

კ2- 74 480 / 13 954=5.3

კ3- 2 700 / 13 954 =0.2

მხოლოდ სზ-6-თვის 12 908 კვ.მ

კ1 - 7 350 / 12 908 =0.6

კ2 - 74 480 / 12 908 =5.8

კ3 - 2 700 / 12 908 =0.2

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი დამუშავებულია ,,ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ: N01.14.02.025.251) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ბი.აი.ჯის'' (ს/კ. 401983396) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N405 განკარგულებით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებების შესაბამისად. აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, მიეცა თანხმობა ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი III მიკრორაიონში (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ: N01.14.02.025.251) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრა 6,7-ით.

კორექტირებული პროექტის მიხედვით, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი N6 და N7 სექტორი ერთიანდება - N6 სექტორად (ს/კ: N01.14.02.025.251).

შპს „ბი.აი.ჯი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.251) N6 სექტორში განთავსებულ შენობა-ნაგებობისთვის იზრდება სამშენებლო მოცულობა 1 157 კვ.მ-ით და 8 430 კვ.მ-ის ნაცვლად კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს 9 587 კვ.მ-ს. კ-2=6,7. აღნიშნული ცვლილებით 14 სართულიანი შენობა-ნაგებობა იზრდება ერთი სართულით.

აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, შეიცვალა ჯამური კ-2-ის მაჩვენებელიც და კ-2=5,8-ის ნაცვლად (74 480 კვ.მ) დაფიქსირდა კ-2=5,9 (75 637 კვ.მ).

ცვლილება არ ეხება, შპს „ოპტიმა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს (საკადასტრო კოდები: N01.14.02.025.262; N01.14.02.025.249; N01.14.02.025.245; N01.14.02.025.244; N01.14.02.025.247; N01.14.02.025.248; N01.14.02.025.242) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის N86 განკარგულებით დადგენილი კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი რჩება უცვლელი - 66 050 კვ.მ. უცვლელი რჩება დადგენილი განაშენიანება, სიმაღლე, სართულიანობა.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონირება რჩება უცვლელი: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). (სზ-6- 12 908 კვ.მ. ტზ-1-1046 კვ.მ)

ფუნქცია: საცხოვრებელი, კომერციული;

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით მთლიანი საპროექტო ტერიტორიისთვის:

მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი: 13 954 კვ.მ

კ1- 7 350 / 13 954=0.5

კ2- 75 637 / 13 954=5.4

კ3- 2 700 / 13 954 =0.2

მხოლოდ სზ-6-თვის 12 908 კვ.მ

კ1 - 7 350 / 12 908 =0.6

კ2 - 75 637 / 12 908 =5.9

კ3 - 2 700 / 12 908 =0.2

,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59-ე დადგენილების 35-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებისა და მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, დაუმთავრებელი მშენებლობების მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები. დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისას, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების შეთანხმება. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების სახით შესაძლებელია, განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (შენობა-ნაგებობათა მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით/განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები, სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციები, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი შეესაბამება დადგენილ ხელშემწყობ ღონისძიებებს. შემოთავაზებულია მცირედი ცვლილებები, რომლითაც არ იცვლება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი განაშენიანება და საპროექტო გადაწყვეტები.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0121204573-67 (N012122914447-67; N0121235765-67; N012125431-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკისროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე



დოკუმენტის ანოტაცია

1. ექსპლიკაცია

1 - მიწის ნაკვეთი
2 - მიწის ნაკვეთი
3 - მიწის ნაკვეთი
4 - მიწის ნაკვეთი
5 - მიწის ნაკვეთი
6 - მიწის ნაკვეთი - შპს "ბი აი ჯი"
7 - მიწის ნაკვეთი - გზა
8 - მიწის ნაკვეთი სატრანსფორმატორო
9 - მიწის ნაკვეთი

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

1. ყველა ნაკვეთისთვის ზონების ქალაქთმშენებლობითი რეგლამენტები და გამონაკლისები მიიღება 4-13 ის შესაბამისად.

3. წყარო. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია ტოპგეოდეზიური გეგმა - C.V.C.3

პირობითი აღნიშვნები

ფიზიკური გარემო

ელ. ქვესადგურის გადატანისთვის გამოყოფილი ადგილი

უფლებრივი მონაცემები

საპროექტო ტერიტორიის საზღვრები გეგმარებითი ერთეული

საპროექტო მიწის ნაკვეთები

რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები

წარმოსახვითი მონაცემები

დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	MA architects შპს ფირმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შემსრულა: ლ. ქოქაძე შემსრულა: მ. სამხარაულიშვილი შემსრულა: ა. სულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	გვერდის დასახელება: მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა; კოდი: C.Z.L.FZ.1; გვერდი: 34; ფურცლების რაოდენობა: 55; მასშტაბი: 1:1000; ფორმატი: A2 (594x420)
				ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	



N 1 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	საცხოვრებელი	> 75%
2	სამოყვარულო ტიპის და დამხმარე ნაგებობები	ფუნქციონირების უზრუნველმყოფი	< 25%
3	***	***	***

N 2 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	საცხოვრებელი	> 75%
2	სამოყვარულო ტიპის და დამხმარე ნაგებობები	ფუნქციონირების უზრუნველმყოფი	< 25%
3	***	***	***

N 3 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	საცხოვრებელი	> 75%
2	სამოყვარულო ტიპის და დამხმარე ნაგებობები	ფუნქციონირების უზრუნველმყოფი	< 25%
3	***	***	***

N 4 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	დაბალსართიანი / საშუალოსართიანი საცხოვრებელი სახლი	სარეკრეაციო	> 75%
2	სამოყვარულო ტიპის და დამხმარე ნაგებობები	ფუნქციონირების უზრუნველმყოფი	< 25%
3	***	***	***

N 5 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	საცხოვრებელი	> 75%
2	სამოყვარულო ტიპის და დამხმარე ნაგებობები	ფუნქციონირების უზრუნველმყოფი	< 25%
3	***	***	***

N 6 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	საცხოვრებელი	> 75%
2	სამოყვარულო ტიპის და დამხმარე ნაგებობები	ფუნქციონირების უზრუნველმყოფი	< 25%
3	***	***	***

N 7 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	ბიზნეს / ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ინფრასტრუქტურა	აღრანსპორტი	> 75%
2	საქმიანობისთვის ინფრასტრუქტურა	ფუნქციონირების უზრუნველმყოფი	< 25%
3	***	***	***

N 8 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	ბაღნარი და დამხმარე ნაგებობები	ეკ. გამოსაყენებელი ზედა ფენები	100%
2	***	***	***
3	***	***	***

N 9 პარამეტრების ცხრილი

	გამოყენების სახეობა	ფუნქცია	მიწის ნაკვეთის ზომები
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	საცხოვრებელი	> 75%
2	სამოყვარულო ტიპის და დამხმარე ნაგებობები	ფუნქციონირების უზრუნველმყოფი	< 25%
3	***	***	***

დოკუმენტის ანოტაცია

1. ექსპლიკაცია

პარამეტრების ცხრილი
1. ძირითადი დომინირებული გამოყენების სახეობა
2. ძირითადი არადომინირებული გამოყენების სახეობა
3. საგამონაკლისო სახეობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

1. ნაკვეთებისთის ზონების ქალაქმშენებლობითი რეგლამენტები და გამონაკლისები მოიცავს 4-13 ის შესაბამისად.
საცხოვრებელი ზონა სზ-6. მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულია სახეობა მაღალეტიანი საცხოვრებელ სახლების.
სზ-6 ის კოეფიციენტები:
კ1-0.5 კ2-2.5 კ3-0.1
1. მწვრივის ხარისხი:
ამენებს საპროექტო ტერიტორიაზე დომინირებული და არადომინირებული ფუნქციების მწვრივის ბალანსს.

3. წყარო. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა C.Z.L.FZ.1

პირობითი აღნიშვნები

ზონირება

- სზ-2
- სზ-6
- ტზ-1
- რზ-2

პირობითი აღნიშვნები მოცემულია ნახაზზე C.V.C.3

დამკვეთი:
შპს "ოპტიმა"
ს.კ. 405160819

4MA architects
შპს ფორმა
404544445

საპროექტო ჯგუფი:
დირექტორი: ა. მგალობლიშვილი
შემსრულა: ლ. ქორქელია
შემსრულა: მ. სამხრეთნიშვილი
შემსრულა: ა. ხულაბერიძე

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა

ნაკვეთის ფარდობი III მ.რ. თბილისი.
ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245

გვერდის დასახელება
დადგენილი ფუნქციური ზონები და გამოყენების სახეობების გეგმა.

კოდი C.Z.L.FZ.2

გვერდი 35
სულ გვერდების 55

მასშტაბი 1:1000

ფორმატი A2 (594x420)



N 1	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	0.5
2	კ2	6.9
3	კ3	0.2

N 9	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	0.7
2	კ2	1.5
3	კ3	0.1

N4	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	0.5
2	კ2	0.1
3	კ3	0.4

N 8	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	1.0
2	კ2	2.5
3	კ3	0

N7	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	0
2	კ2	0
3	კ3	0.1

N 2	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	0.5
2	კ2	9.1
3	კ3	0.3

N3	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	0.5
2	კ2	7.2
3	კ3	0.1

N6	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	0,6
2	კ2	6,7
3	კ3	0,1

N5	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	0.7
2	კ2	8.6
3	კ3	0.1

დოკუმენტის ანოტაცია

1. ექსპლიკაცია

N	პარამეტრების ცხრილი	
	კოეფიციენტი	მაჩვენებელი
1	კ1	***
2	კ2	***
3	კ3	***

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

1. კოეფიციენტების მაჩვენებლები განისაზღვრება 4-13 ის შესაბამისად 4-13 ის შესაბამისად.
2. რეგლამენტების მოთხოვნები არ ვრცელდება ზონის ფუნქციონირებისთვის ან დროებითი შენობა-ნაგებობეთის.

3. წყარო. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა C.Z.L.FZ.1
2.

პირობითი აღნიშვნები

ფიზიკური გარემო

უფლებრივი მონაცემები

საპროექტო ტერიტორიის საზღვრები გეგმარებითი ერთეული

საპროექტო მიწის ნაკვეთები

წარმოსახვითი მონაცემები

დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. ქობულია შეასრულა: მ. სამხარაულიშვილი შეასრულა: ა. ხულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	გვერდის დასახელება: კ1. კ2. კ3. კოეფიციენტების დადგენის გეგმა
				ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. ორბილის. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	ერთეული: C.Z.L.FZ.3
					გვერდი: 36 სულ გვერდები: 55
					მასშტაბი: 1:1000 ფორმატი: A2 (594x420)



N1	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	25-29

N9	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	3

N4	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	***

N8	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	1

N8	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	***

N2	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	22

N3	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	15

N6/7	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	15

N5	პარამეტრების ცხრილი	მაჩვენებელი
1	H	***
2	H min	***
3	H max	15

1



2



სექტორი 2-3-6 ისთვის სართულიანობა განისაზღვრება
მაქს **22 სართული**
სართულიანობის ათვლის სავარაუდო ნიშნული **506.50**

3



სექტორი 1 ის სართულიანობა განისაზღვრება
მაქს. **25/29 სართული**
სართულიანობის ათვლის სავარაუდო ნიშნული **531.00**
ამ ნიშნულის ქვევით ემატება ავტოსადგომების 3 სართული
რომელიც ჩადის ეზოს ნიშნულამდე **519.00**

დოკუმენტის ანოტაცია

1. ექსპლიკაცია

H - შენობის სიმაღლე
H min - შენობის მინიმალური სართულიანობა
H max - შენობის მაქსიმალური სართულიანობა
*** - არ არის დადგენილი

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

1. შენობის სიმაღლე გამოითვლება გამონაკლისის სახით. ასევე ღიობების და აივნების მოწყობა.

3. წყარო. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა C.Z.L.FZ.1
2.

პირობითი აღნიშვნები

ფიზიკური გარემო

- შენობათა განთავსების პირობითი კონტური
- 14-39 ის მიჯნის ზონის დარღვევის ადგილები

შენიშვნა

სართულიანობა განისაზღვრება საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან.
სექტორი 1 ისთვის ძოწენიძის ქუჩის მხრიდან
სექტორი 2-3-5-6-7 ისთვის ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან

წარმოსახვითი მონაცემები

დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects / შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი; შეასრულა: ლ. ქობულია; შეასრულა: მ. სამარღანიშვილი; შეასრულა: ბ. ხულბაერიძე	მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა / ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	ფურცლის დასახელება: მაქსიმალური სიმაღლის / სართულიანობის დადგენის გეგმა	კოდი: C.Z.L.FZ.4 / მასშტაბი: 1:1000	ფურცელი: 37 / სულ ფურცლები: 55 / ფორმატი: A2 (594x420)



დოკუმენტის ანოტაცია

1. ექსპლიკაცია

1 - საცხოვრებელი სახლი და მიწისქვეშა ავტოსადგომი
2 - საცხოვრებელი სახლი
3 - საცხოვრებელი სახლი
4 - მიწისქვეშა ავტო სადგომი
5 - საცხოვრებელი სახლი
6 - საცხოვრებელი სახლი
7 - სატანსპორტო ზონა
8 - სატრანსფორმატორო ჯიხური
9 - საცხოვრებელი სახლი

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

3. წყარო. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა C.Z.L.FZ.1

პირობითი აღნიშვნები

ფიზიკური გარემო

- შენობათა განთავსების პირობითი კონტური
- დახურული მიწისქვეშა ავტო სადგომების განთავსების ადგილი

შენიშვნა

შენობის განთავსების კონტურები არის პირობითი და არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას შესაძლოა მათი მცირედი ცვლილება

მიწისქვეშა ავტოსადგომების თავზე ეწყობა საზოგადოებრივი სივრცეები

წარმოსახვითი მონაცემები

დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. ჟორჟოლიანი შეასრულა: მ. სამაროვანიშვილი შეასრულა: ა. სულაბერიძე	მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	გვერდის დასახელება: მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების გეგმა	კოდი: C.Z.L.FZ.5 გვერდი: 38
			ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.269; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251, 01.14.02.025.245		ჯამური გვერდები: 55
				მასშტაბი: 1:1000	ფორმატი: A2 (594x420)



დოკუმენტის ანოტაცია

1. ექსპლიკაცია
1 - საცხოვრებელი სახლი
2 - საცხოვრებელი სახლი
3 - საცხოვრებელი სახლი
4 - მიწისქვეშა ავტო სადგომი
5 - საცხოვრებელი სახლი
6 - საცხოვრებელი სახლი
7 - სატანსპორტო ზონა
8 - სატრანსფორმატორო ჯიხური
9 - საცხოვრებელი სახლი

2. რეგლამენტი და გამონაკლისი

3. წყარო. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

1. ნახაზის ფუძედ გამოყენებულია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა C.Z.L.FZ.1

პირობითი აღნიშვნები

ფიზიკური გარემო

შენობათა განთავსების პირობითი კონტური

14-39 ის მიჯნის ზონის დარღვევის ადგილები

უფლებრივი მონაცემები

წარმოსახვითი მონაცემები

დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. ქობულია შეასრულა: მ. სამარღანიშვილი შეასრულა: ა. ხულაბერიძე	მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.347; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	გვერდის დასახელება მიჯნის ზონების განსაზღვრა	კოდი C.Z.L.FZ.6 მასშტაბი 1:1000	გვერდი 39 სულ გვერდები 55 ფორმატი A2 (594x420)

მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტების ცხრილი

N	ნებადართული ძირითადი დანიშნულება	ქვედრების ზემოდებული ზომა და ტიპი	ტერიტორიის ინტენსივობის ზომა და ტიპი	კონტრასტული ფუნქციური ზონა	სამშენებლო განაშენების სტილი	განაშენიანების პირობები (მაქს.მეტი ფიქსი)	კ1	კ2	კ3	მაქსიმალური ფართობი (კვ.მ)	მინიმალური ფართობი (კვ.მ)	მიწის ნაკვეთის ფორმა (ფრონტალური ხაზის მიმართ)	ტერიტორიის ინტენსივობის ზომა და ტიპი (ერთეულების რაოდენობა)	შენიშვნა განსაზღვრის წესები
1	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	3ზ	სზ-4	საშუალო	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართის -25%, ზონაში დასაშვები 16ე სართული -25%)	0,5	6,9	0,2	35/29	6233	დიამეტრული	173	1. ობიექტის საშენ ფართობში შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 4 საცხოვრებელი ბინა; 2. ინსოლაციის ნორმები (C.Z.L. FZ.5 კვარტალისთვის)
2	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	3ზ / ა1	სზ-4	საშუალო	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართის -25%, ზონაში დასაშვები 10ე სართული -25%)	0,5	9,1	0,3	22	1200	დიამეტრული	16	1. ობიექტის საშენ ფართობში შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 4 საცხოვრებელი ბინა; 2. ინსოლაციის ნორმები (C.Z.L. FZ.5 კვარტალისთვის)
3	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	ა1	სზ-4	საშუალო	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართის -25%, ზონაში დასაშვები 10ე სართული -25%)	0,5	7,2	0,1	15	980	დიამეტრული	6	1. ობიექტის განსათავსებლად, რომელიც მიმდებარე არსებულ ობიექტებთან ერთად ქმნის 2. ობიექტის საშენ ფართობში შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 4 საცხოვრებელი ბინა; 3. ინსოლაციის ნორმები (C.Z.L. FZ.5 კვარტალისთვის)
4	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	3ზ / ა1	სზ-4	საშუალო	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართის -25%, ზონაში დასაშვები 10ე სართული -25%)	0,5	0,1	0,4	0	2404	დიამეტრული	97	ნაგებობები მრავალ ბინებიანი სახლების ზონებში
5	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	ა1	სზ-4	საშუალო	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართის -25%, ზონაში დასაშვები 10ე სართული -25%)	0,7	8,8	0,1	15	599	დიამეტრული	4	1. ობიექტის განსათავსებლად, რომელიც მიმდებარე არსებულ ობიექტებთან ერთად ქმნის 2. ობიექტის საშენ ფართობში შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 4 საცხოვრებელი ბინა; 3. ინსოლაციის ნორმები (C.Z.L. FZ.5 კვარტალისთვის)
6	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	3ზ / ა1	სზ-6	საშუალო	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართის -25%, ზონაში დასაშვები 18ე სართული -25%)	0,6	6,7	0,1	15	1431	დიამეტრული	28	1. ობიექტის განსათავსებლად, რომელიც მიმდებარე არსებულ ობიექტებთან ერთად ქმნის 2. ობიექტის საშენ ფართობში შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 4 საცხოვრებელი ბინა; 3. ინსოლაციის ნორმები (C.Z.L. FZ.5 კვარტალისთვის)
7	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	3ზ / ა1	ტზ-1	საშუალო	სატრანსპორტო ზონა	0	0	0,1	0	1046	დიამეტრული	0	დაუშვებელი მშენებლობა
8	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	3ზ	სზ-6	საშუალო	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართის -75% ზონაში დასაშვები 18ე სართული - 25%)	1,0	2,5	0	1	33	დასაშვები	0	1. დასაშვებია მხოლოდ საქმიანობისათვის დაბინძურების ნებართვის 2. მიწის ზონაში არ მოქმედებს ინსოლაციის ნორმები
9	არასაცხოვრებელი საქმიანობა	არ ნებადართება	3ზ	სზ-5	საშუალო	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (საერთო ფართის -75% ზონაში დასაშვები 18ე სართული -25%)	0,6	1,5	0,2	3	108	დასაშვები	0	1. ობიექტის განსათავსებლად, რომელიც მიმდებარე არსებულ ობიექტებთან ერთად ქმნის 2. ობიექტის საშენ ფართობში შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 4 საცხოვრებელი ბინა; 3. ინსოლაციის ნორმები (C.Z.L. FZ.5 კვარტალისთვის)
შენიშვნა					მიწისქვეშა სივრცის ზონაში მშენებლობა	მაქსიმუმ -3ზ				საინჟინრო-ტექნიკური ობიექტის ფართობი შეიძლება გაიზარდოს საინჟინრო ობიექტის ფართობის ოდენობით				

სიტუაციური სქემა



მოთხოვნილი განაშენიანების პარამეტრები (კ1, კ2, კ3)

მოთხოვნილი პარამეტრები მთლიანი საპროექტო ტერიტორიისთვის გამოიყურება შემდეგნაირად:
საპროექტო ტერიტორიის მთლიანი ფართობი - **13954 კვ.მ.**
აღნიშნულ ფართს აკლდება სატრანსპორტო ზონა ტზ-1 რომელიც უნდა გავრცელდეს
სექტორი 7 ზე (ფართობით 1046 მ²)
შესაბამისად საანგარიშო პარამეტრები (კოეფიციენტები) დაითვლება დარჩენილი ფართობიდან
დარჩენილი მიწის ფართობი შეადგენს **12908 მ²-ს**

კ1 - 0.6
კ2 - 5.9
კ3 - 0.2

საპროექტო მონაცემები: საპროექტო ტერიტორია
13 954 კვ.მ.
მათ შორის: 12908 კვ.მ / სზ-6 და 1046 კვ.მ / ტზ-1

ავტოსადგომების მთლიანი საპროექტო მოცულობა: 298 ერთეული
ღია ავტოსადგომები - 30
მიწისქვეშა ავტოსადგომები - 268

შენიშვნა:

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის-„დასახლებული ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების" 35-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების დროს, გამოყენებულია AR1495531-ის რეგისტრირების მომენტისთვის მოქმედი „დაუსრულებელი მშენებლობის" სტატუსის არსებობის გამო, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება 2' მუხლის მიხედვით არ ვრცელდება , რადგან მიწის ნაკვეთზე მიენიჭა დაუმთავრებელი მშენებლობის სატატუსი.

კოეფიციენტების დანგარიშება და სანებართვო დოკუმენტაციის მოშლაბება ბდება 14-39 ცხრილების მისაბმისად

დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი მთავარი: ლ. ჟორჟოლიანი მთავარი: მ. სამხარაძე მთავარი: ა. ხელაბარიძე	მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	ნაკვეთების ფრაგმენტი III მ.რ. თბილისი, ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	ნახაზის დასახელება მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი	კოდი C.Z.L.FZ.8	ნახაზი 41 სულ ნახაზები 55
						მასშტაბი	ფორმატი A2 (594x420)

GRG - 16.04.2021.pla; C.Z.L.FZ.8 : 74% 23/07/2021 10:23

სიტუაციურუ სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის №1 [სექტორი-1]
2. მიზნობრივი დანიშნულება: არასაოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შემზღუდავი ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: ჰზ
5. ფონურეტული ფუნქციური ზონა: სზ-ბ
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:
7.1. დომინირებული (> 75%): მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობები.
7.2. არადომინირებული (≤ 25 %): საზოგადოებრივი შენობები/სამყოფები და დამხმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობები.
7.3. საგამონაკლისო: * * *
8. კოეფიციენტები:
   კ-1=0.5 **კ-2=6.9** **კ-3=0.2**
9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: 25-29 სართული; Hmax განისაზღვრება სახ. სივრცის მხრიდან. (ძონუნიძის ქუჩის მხრიდან)
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დაუშვებელი.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 195
13. შენობის განთავსების წესი: განისაზღვრება, 4-13, მუხლები 34 საფუძველზე. უკანა ეზო არ არის დადგენილი.

მიწის ნაკვეთის გეგმა



დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. კოკაულია შეასრულა: მ. სამარღანიშვილი შეასრულა: ა. ხულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.344; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	გვერდის დასახელება დეტალური რეგლამენტები. N1 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი C.Z.L.FZ.9	გვერდი 42 სულ გვერდები 55
						მასშტაბი 1:500	ფორმატი A2 (594x420)

სიტუაციური სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის №2 (სექტორი - 2)
2. მიზნობრივი დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შემზღუდავი ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: 3ზ / გჯ
5. კონკრეტული ფუნქციური ზონა: სზ-6
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:
7.1. დომინირებული (> 75%): მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობები.
7.2. არადომინირებული (≤ 25 %): საზოგადოებრივი შენობები/სამყოფები და დამხმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობები.
7.3. საგამონაკლისო: * * *
8. კოეფიციენტები:
კ-1=0.5 კ-2=9.1 კ-3=0.3
9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: 22 სართული; **Hmax** განისაზღვრება სახ. სივრცის მხრიდან. (ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან)
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დაუშვებელი.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 16
13. შენობის განთავსების წესი: განისაზღვრება, 4-13, მუხლები 34 საფეხველზე. უკანა ეზო არ არის დადგენილი.

მიწის ნაკვეთის გეგმა



დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შემსრულება: ლ. ქობულია შემსრულება: მ. ხამარლანიშვილი შემსრულება: ა. ხულაბერიძე	მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	გვერდის დასახელება დეტალური რეგლამენტები. N2 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი C.Z.L.FZ.10 მასშტაბი 1:500	გვერდი 43 სულ გვერდები 55 ფორმატი A2 (594x420)

სიტუაციურუ სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის **№3** (სექტორი - 3)
2. მიზნობრივი დანიშნულება: არასაოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შემზღუდავი ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: გუ
5. კონკრეტული ფუნქციური ზონა: სზ-6
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:
   - 7.1. დომინირებული (> 75%): მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობები.
   - 7.2. არადომინირებული (≤ 25 %): საზოგადოებრივი შენობები/სამყოფები და დამხმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობები.
   - 7.3. საგამონაკლისო: * * *
8. კოეფიციენტები:
   კ-1=0.5 კ-2=7,2 კ-3=0.1
9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: 15 სართული; Hmax განისაზღვრება საზ. სივრცის მხრიდან.
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დაუშვებელი.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 0
13. შენობის განთავსების წესი: განისაზღვრება, 4-13, მუხლები 34 საფუძველზე. უკანა ეზო არ არის დადგენილი.

მიწის ნაკვეთის გეგმა



დამკვეთი: შპს "ოკტომა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. ჟოხელია შეასრულა: მ. სამარღანიშვილი შეასრულა: ა. სულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	გვერდის დასახელება დეტალური რეგლამენტები. №3 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი C.Z.L.FZ.11 / გვერდი 44 / სულ გვერდები 55
				ნუცუბიძის ფერდობი III შ.რ. მიბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245		მასშტაბი 1:500 / ფორმატი A2 (594x420)

სიტუაციურუ სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის №4 (სექტორი - 4)
2. მიზნობრივი დანიშნულება: არასაოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შემზღუდავი ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: პზ, გკ
5. კონკრეტული ფუნქციური ზონა: სზ-ბ
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:
   - 7.1. დომინირებული (> 75%): მიწისქვეშა ავტო სადგომი.
   - 7.2. არადომინირებული (≤ 25 %): საზოგადოებრივი შენობები/საწყობები და დამხმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობები.
   - 7.3. სეგმენტაცია: * * *
8. კოეფიციენტები:
   კ-1=0.5 **კ-2=0.1** **კ-3=0.4**
9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა:0 სართული; Hmax უწყობა მხოლოდ მიწისქვეშა ავტოსადგომი.
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დაუშვებელი.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 57
13. შენობის განთავსების წესი: განისაზღვრება, 4-13, მუხლები 34 საფუძველზე. უჯანა უხო არ არის დადგენილი.

მიწის ნაკვეთის გეგმა



დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი მეპასუხე: ლ. ქოგასლია მეპასუხე: მ. სამარღანიშვილი მეპასუხე: ა. სულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	გვერდის დასახელება: დეტალური რეგლამენტები. N4 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი: C.Z.L.FZ.12 გვერდი: 45 სულ გვერდები: 55
				ნაკვეთის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.625.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.015.245		მასშტაბი: 1:500 ფორმატი: A2 (594x420)

სიტუაციური სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის №5 (სექტორი - 5)
2. მიხნობრივი დანიშნულება: არასაოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შემზღუდავი ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: გა
5. კონკრეტული ფუნქციური ზონა: სზ-6
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:
7.1. დომინირებული (> 75%): მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობები.
7.2. არადომინირებული (< 25 %): საზოგადოებრივი შენობები/სამყოფები და დამხმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობები.
7.3. საგამონაკლისო: * * *
8. კოეფიციენტები: **კ-1=0.7** **კ-2=8.6** **კ-3=0.1**
9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: **15 სართული**; Hmax განისაზღვრება სახ. სივრცის მხრიდან.
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დაუშვებელი.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 4
13. შენობის განთავსების წესი: განისაზღვრება, 4-13, მუხლები 34 საფუძველზე. უკანა ეზო არ არის დადგენილი.

მიწის ნაკვეთის გეგმა



დამკვეთი: შპს "ოკტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. ეოგბული შეასრულა: მ. სამარღანიშვილი შეასრულა: ა. სულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	გვერდის დასახელება დეტალური რეგლამენტები. N5 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი C.Z.L.FZ.13
				ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.625.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245		მასშტაბი 1:500

გვერდი 46
სულ გვერდები 55
ფორმატი A2 (594x420)

სიტუაციურუ სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის №6 (სექტორი - 6)
2. მიზნობრივი დანიშნულება: არასაოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შემზღუდავი ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: გპ
5. კონკრეტული ფუნქციური ზონა: სზ-6
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:
7.1. დომინირებული (> 75%): მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობები.
7.2. არადომინირებული (≤ 25 %): სახოგადოებრივი შენობები/სამყოფები და დამხმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობები.
7.3. საგამონაკლისო: * * *
8. კოეფიციენტები:
   კ-1=0.6 **კ-2=6.7** **კ-3=0.1**
9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: **15 სართული**; Hmax დასაშვებია მიწისქვეშა ავტო სადგომების მოწყობა.
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დასაშვებია.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 28
13. შენობის განთავსების წესი: განისაზღვრება, 4-13, მუხლები 34 საფუძველზე, უკანა ეზო არ არის დადგენილი.

მიწის ნაკვეთის გეგმა



დამკვეთი: შპს "ოკტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	პროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. ქოგაულია შეასრულა: მ. სამარღანიშვილი შეასრულა: ა. სულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა	გვერდის დასახელება დეტალური რეგლამენტები. №6 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი C.Z.L.FZ.14 / მასშტაბი 1:500	გვერდი 47 / სულ გვერდები 55 / ფორმატი A2 (594x420)
				ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245		

სიტუაციური სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის **№7** (სექტორი -7))
2. მიზნობრივი დანიშნულება: არასაოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შემზღუდავი ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: ჰზ. გა.
5. კონკრეტული ფუნქციური ზონა: ტზ-1
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:

7.1. დომინირებული (> 75%): ზონაში დასაშვები სახეობები.

7.2. არადომინირებული (≤ 25 %): საზოგადოებრივი შენობები/სამყოფები და დამხმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობები.

7.3. საგამონაკლისო: * * *

8. კოეფიციენტები:

   კ-1=0 **კ-2=0** **კ-3=0.1**

9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: **0 სართული; Hmax** განისაზღვრება საზ. სივრცის მხრიდან.
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დაუშვებელი, აქ მითითებული დანარჩენი რეგლამენტების დაცვით.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 0
13. შენობის განთავსების წესი: არ არის დასაშვები.

მიწის ნაკვეთის გეგმა



დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. ქობულია შეასრულა: მ. სამარგანიშვილი შეასრულა: ა. სულაბერიძე	მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	ფურცლის დასახელება დეტალური რეგლამენტები. №8 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი C.Z.L.FZ.15 მასშტაბი 1:500
					ფურცელი 48 სულ ფურცელი 55 ფორმატი A2 (594x420)

სიტუაციური სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის **№8** (სექტორი - 8)
2. მიზნობრივი დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შეზღუდვის ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: ჰზ
5. კონკრეტული ფუნქციური ზონა: სზ-6
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:

7.1. დომინირებული (100%): სატრანსფორმატორო ჯიხური.

7.2. არადომინირებული (0%): * * *

7.3. საგამონაკლისო: * * *

8. კოეფიციენტები:

$\text{კ-1}=1.0$ $\text{კ-2}=2.5$ $\text{კ-3}=0.0$

9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: 1 **სართული**; Hmax
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დასაშვებია, აქ მითითებული დანარჩენი რეგლამენტების დაცვით.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 0
13. შენობის განთავსების წესი: განისაზღვრება, 4-13, მუხლები 34 საფუძველზე. უკანა ეზო არ არის დადგენილი.

მიწის ნაკვეთის გეგმა



მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანების პერსპექტივით

33
37

70

დამკვეთი: შპს "უძრავი" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შემსრულე: ლ. ჟორბენაძე შემსრულე: მ. სამხარაძენიშვილი შემსრულე: ა. ხულაბერიძე		მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ნაკვეთის მისამართი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.248; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	ფურცლის დასახელება დეტალური რეგლამენტები. N9 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი C.Z.L.FZ.16 მასშტაბი 1:500	ფურცელი 49 სულ ფურცლები 55 ფორმატი A2 (594

სიტუაციური სქემა



სივრცითი-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები

1. მიწის ნაკვეთის **№9** (სექტორი - 9)
2. მიზნობრივი დანიშნულება: არასაოფლო-სამეურნეო
3. გეგმარების შემზღუდავი ზონა: არ არის დადგენილი
4. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: ჰზ
5. კონკრეტული ფუნქციური ზონა: სზ-6
6. სამშენებლო გამოყენების სტატუსი: სამშენებლო მიწის ნაკვეთი.
7. უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები:

7.1. დომინირებული (> 75%) მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობები.

7.2. არადომინირებული (< 25 %): საზოგადოებრივი შენობები/სამყოფები და დამხმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობები.

7.3. საგამონაკლისო: * * *

8. კოეფიციენტები:

კ-1=0.6 კ-2=1.5 კ-3=0.3

9. შენობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: **3 სართული**; Hmax დასაშვებია მიწისქვეშა ავტო სადგომების მოწყობა.
10. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები: არ განისაზღვრება;
11. მიწის ნაკვეთის დაყოფა/გაერთიანება: დასაშვებია, აქ მითითებული დანარჩენი რეგლამენტების დაცვით.
12. ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 0
13. შენობის განთავსების წესი: განისაზღვრება, 4-13, მუხლები 34 საფუძველზე. უკანა ეზო არ არის დადგენილი.

მიწის ნაკვეთის გეგმა



დამკვეთი: შპს "ოპტიმა" ს.კ. 405160819	4MA architects შპს ფორმა 404544445	საპროექტო ჯგუფი: დირექტორი: ა. მგალობლიშვილი შეასრულა: ლ. ქობულია შეასრულა: მ. სამარღანიშვილი შეასრულა: ა. სულაბერიძე	მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ნუცუბიძის ფერდობი III მ.რ. თბილისი. ს.კ. 01.14.02.025.242; 01.14.02.025.344; 01.14.02.025.348; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.251; 01.14.02.025.245	გვერდის დასახელება დეტალური რეგლამენტები. N10 მიწის ნაკვეთის გეგმა	კოდი C.Z.L.FZ.17 მასშტაბი 1:500	გვერდი 50 სულ გვერდები 55 ფორმატი A2 (594x420)

შ.პ.ს. “ბალავერი”

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში (ნაკვეთები №25/62 და №25/63) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობაზე მიმდინარე მშენებლობის შსაფრთხოების ღონისძიებების დაცვის თაობაზე



თბილისი 2021

შესავალი

შ.პ.ს. „ბი აი ჯი“-ს (ID ნომერი: 401983396) ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. „ბალავერი“-ს საექსპერტო ჯგუფის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში, ნუცუბიძის ქ. №125-ში, შპს „ბი აი ჯი“-ს (ID ნომერი: 401983396) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.14.02.025.251) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობის მშენებლობის პროცესი. წინამდებარე სამუშაო ითვალისწინებს ჩვენს მიერ შესწავლილ შენობაზე მიმდინარე მშენებლობის პროცესის შესწავლას უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვის გათვალისწინებით.

საკვლევი ობიექტის აღწერა

საკვლევი ობიექტი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა გეგმაში რთული, სწორკუთხა ნაკვეთურებიანი, ტეხილი გეომეტრული ფორმისაა, რომელსაც სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება ნუცუბიძის ქუჩა, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან კი სამეზობლო ნაკვეთები. შენობა თოთხმეტსართულიანია. შენობის მზიდი საანგარისო სქემა ჩარჩოვან-კავშირებიანი სისტემაა, რომელიც შედგება კარკასის ჩარჩოებისა და ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმებისაგან. მისი ძირითადი მზიდი ელემენტები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის სვეტებითა და რიგელებით და სართულშუა გადახურვის მონოლითური რკინაბრტონის ფილებით. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ერთი ლიფტითა და ერთი, მონოლითური რკინაბეტონის ორმარშიანი საკომუნიკაციო კიბით.

მიმდინარე მშენებლობის დათვალიერება და პროცესის შესწავლა უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის თვალსაზრისით

ჩემს მიერ შემოწმებულ მშენებარე ობიექტზე, რომლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ძირითადად დასრულებულია და მიმდინარეობს შემომზღუდავი ელემენტების, თვითმზიდი კედლების შევსება და ტიხრების მოწყობა მცირეგაბარიტიანი ბეტონის საკედლე ბლოკებისაგან ქვიშა-ცემენტის ხსნარზე, დავაფიქსირე, რომ მშენებლობაზე მკაცრად კონტროლდება უსაფრთხოების ღონისძიებანი. მშენებლობას აწარმოებს სამშენებლო ფირმა შპს „ბი აი ჯი“ (biggroupgeorgia). მშენებლობა ნაწარმოებია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე

დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-სა და 2017 წლის 27 ოქტომბრის №477-ე დადგენილების „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით (სამუშაოთა მწარმოებელი ვახტანგ ხარშილაძე P/N: 01007009404). დამკვეთის წარმომადგენელთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ გიორგი კორინთელთან ერთად (P/N: 01024020761) ერთად დარღვევების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით შევამოწმეთ ობიექტი (სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა დასკვნას თან ახლავს დანართის სახით). შემოწმების შედეგად დავაფიქსირეთ შემდეგი:

1. სამშენებლო ტერიტორიაზე შესვლა ხორციელდება სამხრეთის მხრიდან, საკონტროლო-გამშვები ჯიხურის მეშვეობით. სამშენებლო მასალების მიღებაც ობიექტზე ხორციელდება სამხრეთის მხრიდან, ნუცუბიძის ქუჩის გასწვრივ, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დროებით ლითონის კარკასზე მოწყობილ თუნუქის ფურცლოვან ღობეში არსებული ლითონის ალაყაფით, რომელიც კონტროლირებადია და ჩაკეტილია, რათა გამოირიცხოს უცხო პირთა უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. საკედლე და სატიხრე ბლოკებისა და სხვა მოსაპირკეთებელი თუ სამშენებლო მასალების სართულებზე მიწოდების დროს ნუცუბიძის ქუჩაზე დგება თვითმავალი საავტომობილო ამწე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ზემოაღნიშნული ტვირთის მიწოდება სართულებზე. ამ დროს ნუცუბიძის ქუჩის ტროტუარზე ეწყობა ხილული, დროებითი გამაფრთხილებელი ნიშნები.
2. საკონტროლო-გამშვებ ჯიხურში ინახება მშენებლობაზე მისულ ვიზიტორთათვის განკუთვნილი უსაფრთხოების ჩაფხუტები, სადაც ხორციელდება ვიზიტორთა აღრიცხვაც. ობიექტზე, ხილულ ადგილებში განთავსებულია მაფრთხილებელი ნიშნები შესაბამისი წარწერებით.
3. ცენტრალურ შესასვლელთან მოწყობილ კიბის ბაქანთან, ღია სივრცეში, კედელზე დამაგრებულია სახანძრო დაფა და ხელის ცეცხლსაქრობი ბალონები. აქვე, ცენტრალური შესასვლელის ჰოლში, სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის წინა დახურულ სივრცეში განთავსებულია: პანდემიის საწინააღმდეგო მაკონტროლებელი ელექტროთერმომეტრი და სადეზინფექციო საშუალებები, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები.

4. შენობის გარე, შემომზღუდავი კედლები ამოშენებულია მეათე სართულამდე (ჩათვლით). მეათე სართულის გადახურვის დონეზე მოწყობილია უსაფრთხოების ბადეები ლითონის მილოვანი ელემენტების კარკასზე, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს მუშა-პერსონალის ან კონსტრუქციების შემთხვევითი ვარდნის დროს უსაფრთხოებისა და უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით. დამცავი ბადეები თითქმის საღია და რაიმე დეფექტი არ გააჩნია.
5. შენობის გარე პერიმეტრზე, ყველგან, სადაც არ არის ამოშენებული შემომზღუდავი კედლები, სართულშუა გადახურვის ფილების სამუშაო პლატფორმების კიდეებზე და კიდედან მინიმუმ 10 სმ-ში (ზოგან უფრო მეტ მანძილზე) და ყველა ღიობის გარშემო მოწყობილია დამცავი მოაჯირები, რომლებიც შედგება ვერტიკალური საყრდენი (რომლებიც შესრულებულია ლითონის მილკვადრატებისგან) ელემენტებისაგან და სამი (ზედა, შუა და ქვედა) ჰორიზონტალური ღეროებისგან (ფიცრებისაგან). ვერტიკალურ დგარებს შორის მანძილი 0,9÷1,0 მ-ია. მოაჯირის ძირზე (სამუშაო პლათფორმაზე) დამონტაჟებულია მინიმუმ 10 სმ. სიმაღლის ქვედა ჰორიზონტალური ძელი, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა საგნის ან ხელსაწყოს შემთხვევითი ვარდნა. კიბის მარშებისა და ბაქნების გასწვრივ ყველა სართულზე, სადაც არ არის მოწყობილი კაპიტალური მოაჯირები, მოწყობილია დროებითი დამცავი მოაჯირები, რომლებიც მყარადაა ჩამაგრებული მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში. ლიფტის შახტის ღიობები მთლიანადაა დაფარული ხის ლამინირებული ფიცარნაგით, ასევე ლამინატის ფენილებითაა დაფარული საინჟინრო კომუნიკაციებისთვის განკუთვნილი ყველა ნახვრეტი (ღიობი), რათა მუშა-მოსამსახურე პერსონალი დაცული იქნას შემთხვევითი ტრამვისაგან.
6. ტერიტორიის სიმცირის გამო სამშენებლო-სამონტაჟო მასალები და ინვენტარული ელემენტები დასაწყობებულია შენობის შიგა ფართზე, მაგრამ ისინი განთავსებულნი არიან ისეთნაირად რომ არ აფერხებენ მუშა-მოსამსახურეთა თავისუფალ გადაადგილებას სართულების გადახურვებზე.
7. სამშენებლო მოედანზე შემოყვანილია სამწვერა კაბელი, რომელიც შეყვანილია დახურულ კარადაში. კარადა ჩაკეტილია ბოქლომით და

გასაღები ინახება ელექტრო კარადის უსაფრთხოების პასუხისმგებელ პირთან გია ცაავასთან (P/N: 01005007281). მშენებლობაზე ელექტროსამუშაოები ხორციელდება იზოლირებული ელექტროკაბელებისა და სადენების გამოყენებით.

ობიექტის დათვალიერების შემდეგ, დღევანდელი მდგომარეობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მშენებლობაზე მკაცრად კონტროლდება უსაფრთხოების ღონისძიებანი. მშენებლობაზე დაცულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-სა და 2017 წლის 27 ოქტომბრის №477-ე დადგენილების „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნები.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორ რ. აფხაძე

საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

დანართი



მთავარი ფასადი ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან



დასავლეთის ფასადი



ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადი



სამშენებლო ტერიტორიაზე შესვლა ხორციელდება სამხრეთის მხრიდან, საკონტროლო-გამშვები ჯიხურის მეშვეობით. სამშენებლო მასალების მიღებაც ობიექტზე ხორციელდება სამხრეთის მხრიდან, ნუცუბიძის ქუჩის გასწვრივ, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დროებით ლითონის კარკასზე მოწყობილ თუნუქის ფურცლოვან ღობეში არსებული ლითონის ალაყაფით



სამშენებლო ტერიტორიაზე შესვლა ხორციელდება სამხრეთის მხრიდან, საკონტროლო-გამშვები ჯიხურის მეშვეობით.



საკონტროლო-გამშვებ ჯიხურში ინახება მშენებლობაზე მისულ ვიზიტორთათვის განკუთვნილი უსაფრთხოების ჩაფხუტები, სადაც ხორციელდება ვიზიტორთა აღრიცხვაც.



ობიექტზე, ხილულ ადგილებში განთავსებულია მაფრთხილებელი ნიშნები შესაბამისი წარწერებით.



ცენტრალურ შესასვლელთან მოწყობილ კიბის ბაქანთან, ღია სივრცეში, კედელზე დამაგრებულია სახანძრო დაფა და ხელის ცეცხლსაქრობი ბალონები.



აქვე, ცენტრალური შესასვლელის ჰოლში, სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის წინა დახურულ სივრცეში განთავსებულია: პანდემიის საწინააღმდეგო მაკონტროლებელი ელექტროთერმომეტრი და სადეზინფექციო საშუალებები, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები.



შენობის გარე პერიმეტრზე ... და ყველა ღიობის გარშემო მოწყობილია დამცავი მოაჯირები, რომლებიც შედგება ვერტიკალური საყრდენი (რომლებიც შესრულებულია ლითონის მილკვადრატებისგან) ელემენტებისაგან და სამი (ზედა, შუა და ქვედა) ჰორიზონტალური ღეროებისგან (ფიცრებისაგან).



კიბის მარშებისა და ბაქნების გასწვრივ ყველა სართულზე, სადაც არ არის მოწყობილი კაპიტალური მოაჯირები, მოწყობილია დროებითი დამცავი მოაჯირები, რომლებიც მყარადაა ჩამაგრებული მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში. ლიფტის შახტის ღიობები მთლიანადაა დაფარული ხის ლამინირებული ფიცარნაგით



ტერიტორიის სიმცირის გამო სამშენებლო-სამონტაჟო მასალები და ინვენტარული ელემენტები დასაწყობებულია შენობის შიგა ფართზე, მაგრამ ისინი განთავსებულნი არიან ისეთნაირად რომ არ აფერხებენ მუშა-მოსამსახურეთა თავისუფალ გადაადგილებას სართულების გადახურვებზე.



სამშენებლო მოედანზე შემოყვანილია სამწვერა კაბელი, რომელიც შეყვანილია დახურულ კარადაში. კარადა ჩაკეტილია ბოქლომით და გასაღები ინახება ელექტრო კარადის უსაფრთხოების პასუხისმგებელ პირთან გია ცაავასთან

თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

ნომერი: 1110/261/21

თარიღი: 10/11/2021

შპს "ბი აი ჯი"-ს დირექტორს

ბატონ ლაშა ხარშილაძეს

თქვენი მიმდინარე წლის 4 ნოემბრის #02/10.21 (სს "თელასის" 1108/025/21) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე (ს/კ -ზე : 01.14.02.025.251) კაბელი გაუქმებულია და შპს ,,ბი-აი-ჯის" შეუძლია აწარმოოს სამუშაოები.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორის მ.შ ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:

გ. მუსელიანი

ტელ:2779999-1-7643

სააქციო საზოგადოება "თელასი"

საგადახდო დავალება No 0343

Transfer Order No 0343

ვალუტირების თარიღი/Value Date: 11/11/2021 რეფერენსი/reference: 11962979781

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ბი. აი. ჯი.

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE28BG0000000366051146GEL

თანხა/Amount
28,115.25 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოცდარვა ათას ას თხუთმეტი ლარი 25 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს ბი. აი. ჯი.

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
401983396

მიმღების დასახელება/Recipient
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
GE80BG0000000277331100GEL

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
11/11/2021

გადახდის დანიშნულება/Description
წყალანარების გარე ქსელების მოწყობის სამუშაოების ავანსი, ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: სს "საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 0343

Transfer Order No 0343

ვალუტირების თარიღი/Value Date: 11/11/2021 რეფერენსი/reference: 11962979781

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ბი. აი. ჯი.

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE28BG0000000366051146GEL

თანხა/Amount
28,115.25 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოცდარვა ათას ას თხუთმეტი ლარი 25 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს ბი. აი. ჯი.

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
401983396

მიმღების დასახელება/Recipient
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
GE80BG0000000277331100GEL

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
11/11/2021

გადახდის დანიშნულება/Description
წყალანარების გარე ქსელების მოწყობის სამუშაოების ავანსი, ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: სს "საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი "-11-" -ნოემბერი- 2021 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ "ახალი მომხმარებელი" შპს „ ბი. აი. ჯი" (ს/კ 401983396) დირექტორი ლაშა ხარშილაძე (პ/ნ01007015475) და მეორეს მხრივ შ.პ.ს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს კომერციული დირექტორი გიორგი სვანიშვილი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ კომპანიამ "ახალ მომხმარებელს" მხარეებს შორის 2021 წლის 11 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში. ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/63). ნუცუბიძის ფერდობი , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/62) (ს/კ 01.14.02.025.251) „დამკვეთის" საკუთრებაში არსებულ ობიექტს შეუსრულოს წყალარინების გარე ქსელის გადატანის საპროექტო დოკუმენტაცია ღირებულებით 6560.23 ლარი. აღნიშნული თანხები მითითებულია დღგს ჩათვლით.

"კომპანია"
შ.პ.ს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
გიორგი სვანიშვილი

"ახალი მომხმარებელი"
შპს „ ბი. აი. ჯი"

BIG
401983396
GEORGIA. "BIG-LTD"

მომსახურების ხელშეკრულება

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) გაფორმებულია ქ. თბილისში, 2021 წლის 11 ნოემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **შპს „ ბი. აი. ჯი“ (ს/კ 401983396) დირექტორი ლაშა ხარშილაძე (პ/ნ01007015475)** (შემდგომში „**დამკვეთი**“) მიერ;

და

მეორე მხრივ, **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“**, საიდენტიფიკაციო კოდი 203826002 (შემდგომში „**შემსრულებელი**“), წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის გიორგი სვანიშვილის მიერ;

შემდგომში „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ ერთობლივად ხსენებული, როგორც „**მხარეები**“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „**მხარე**“.

1. „ხელშეკრულების“ საგანი

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ 1.2. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურება“. „დამკვეთი“ თანახმაა, მიღებული „მომსახურების“ სანაცვლოდ, გადაუხადოს „შემსრულებელს“ შეთანხმებული ანაზღაურება.

1.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე გასაწევი მომსახურება (შემდგომში „**მომსახურება**“) გულისხმობს „შემსრულებლის“ მიერ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში. ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/63). ნუცუბიძის ფერდობი , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/62) (ს/კ 01.14.02.025.251) „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებულ ობიექტს შეუსრულოს წყალარინების გარე ქსელების, გადატანის პროექტით განსაზღვრული სრული ტექნოლოგიური ციკლი.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ ღირებულება შეადგენს **100277,73** (ასიათასორასსამოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცდაცამეტი თეთრი) ლარს (შემდგომში „**მომსახურების ღირებულება**”), დღგ-ს ჩათვლით, სადაც წყალარინების გარე ქსელების გადატანის პროექტის ღირებულება შეადგენს **6560.23** (ექვსიათასხუთასსამოცი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარს, ხოლო წყალარინების გარე ქსელების გადატანის სრული ტექნოლოგიური ციკლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება შეადგენს **93717.50** (ოთხმოცდაცამეტიათასშვიდასჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს. თანხები მითითებულია დღგ-ის ჩათვლით.

2.2 დამკვეთი“ , „შემსრულებელს“ „მომსახურების“ღირებულებას გადაუხდის სამ ეტაპად: სამშენებლო ღირებულების 30%-ს გადაიხდის წინასწარ (28115.25 ლარს), წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო თანხის 40%-ს (26240.90 ლარს) გადაიხდის ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ სამუშაოების წარმოებაზე შესაბამისი თანხმობის გამოცემის შემდგომ. ხოლო დარჩენილ თანხას 39361.35 ლარს გადაიხდის ,,გარე ქსელზე დაერთების ექსპლუატაციაში მიღების და აბონირების აქტი“-ზე ხელმოწერისას .

„მომსახურების ღირებულების“ გადახდა ხდება საბანკო ანგარიშზე „მომსახურების საფასურის“ გადარიცხვის გზით:

მიმღები: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. #GE80BG0000000277331100

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „შემსრულებელი“ უფლებამოსილია:
3.1.1 „მომსახურება“ გაწიოს პირადად ან ქვეკონტრაქტორის დახმარებით და ამისთვის ის არ საჭიროებს „დამკვეთის“ დამატებით თანხმობას ან წინასწარ შეტყობინებას;

3.1.2 მოსთხოვოს „დამკვეთს“ „მომსახურების საფასურის“ გადახდა წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად;

3.1.3 „მომსახურების“ დასრულების შემდეგ მოსთხოვოს „დამკვეთს“ „მომსახურების“ მიღება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.2 „შემსრულებელი“ ვალდებულია:
3.2.1 „მომსახურების“ გაწევა დაიწყოს “დამკვეთის“ მიერ 2.2-ით განსაზღვრული საფასურის 30%-ის გადახდის შემდგომ და დაასრულოს არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისს იმ პირობით, რომ „დამკვეთი“ შემსრულებელს საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი შეთანხმებით უზრუნველყოს „მომსახურების“ გაწევისთვის აუცილებელი ყველა პირობით და „შემსრულებელის“ წარმომადგენლებს ექნებათ სრული და შეუფერხებელი დაშვება „დამკვეთის“ ტერიტორიაზე;

3.2.2 „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურება“ გასწიოს კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, სრულად და დათქმულ ვადაში.

3.3 „დამკვეთი“ უფლებამოსილია:
3.3.1 მოსთხოვოს „შემსრულებელს“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ შესრულება კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, სრულად და დათქმულ ვადაში.

3.4 „დამკვეთი“ ვალდებულია:
3.4.1 საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს „შემსრულებელი“ „მომსახურების“ გაწევისთვის აუცილებელი ყველა პირობით და „შემსრულებელის“ წარმომადგენლებს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მისცეს სრული და შეუფერხებელი დაშვება მის ტერიტორიაზე;

3.4.2 „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესის შესაბამისად, შეთანხმებულ ვადაში სრულად გადაიხადოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების საფასური“;

3.4.3 მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს „შემსრულებელს“ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი;
3.4.4 იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოსაწერად წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ არ დაუბრუნებს ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს ან მოტივირებულ უარს „მომსახურების“ მიღებაზე, იგულისხმება, რომ „დამკვეთმა“ მიიღო „შემსრულებლის“ მიერ გაწეული მომსახურება.

4. განსაკუთრებული პირობები

4.1 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „შემსრულებლის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ გაწევის დროს შექმნილი/დამონტაჟებული ნებისმიერი და ყველა მატერიალური და არამატერიალური ქონება წარმოადგენს „შემსრულებლის“ საკუთრებას და „დამკვეთს“ უფლება არ აქვს განაცხადოს რაიმე პრეტენზია მათზე. ხოლო, თუ ასეთი ქონება ექვემდებარება რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, „შემსრულებელს“ უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს მას აღნიშნული ქონების რეგისტრაციის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებელს“ რეგისტრაციის პროცესში დაჭირდება რაიმე დამატებითი თანხმობა ან/და ცნობა „დამკვეთისგან“, „დამკვეთი“ ვალდებულია, რომ დაუყოვნებლივ მიაწოდოს „შემსრულებელს“ ყველა ასეთი დოკუმენტი.

5. ფორს-მაჟორი

5.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს–მაჟორული ვითარებით (შემდგომში „ფორსმაჟორული ვითარება“).

5.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის „ფორს–მაჟორული ვითარება“, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: ომს, ამბოხებას, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, ქარიშხალს, წყალდიდობას ან სხვა სტიქიურ უბედურებებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების სხვა ქმედებასა და უმოქმედობას, რომელიც „მხარეთა“ გონივრული კონტროლის ფარგლებს

სცილდება და რომლის დადგომაც წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის.

5.3 „მხარე“, რომელსაც „ფორსმაჟორული ვითარება“ შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე „მხარეს“ ამგვარი „ფორს–მაჟორული ვითარების“ თაობაზე, „ფორს–მაჟორული ვითარების“ ხასიათის და მისი შედეგების სათანადო აღწერით.

5.4 „ფორს–მაჟორული ვითარების“ დადგომის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ამგვარი „ფორსმაჟორული ვითარების“ დამთავრებამდე/აღმოფხვრამდე.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ „ფორს–მაჟორული ვითარება“ გასტანს ზედიზედ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს მეორე „მხარისათვის“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

მუხლი 6. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს „მხარეთა“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

6.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია:

(ა) ერთ-ერთი „მხარის“ მიერ, თუ მეორე „მხარე“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას ან პირობას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას;

(ბ) „შემსრულებლის“ მიერ ნებისმიერ დროს, „დამკვეთისთვის“ სულ ცოტა 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით; ან

(გ) „მხარეთა“ ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

6.3 თუ, „ხელშეკრულება“ “დამკვეთმა“ მაშინ შეწყვიტა, როდესაც „შემსრულებელს“ უკვე დაწყებული ქონდა სამუშაოები, “დამკვეთმა“ უნდა აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ ფაქტობრივად გაწეული „მომსახურების“ და მასთან დაკავშირებული ხარჯები და „ხელშეკრულების“ შეწყვეტით მიყენებული ზიანი.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაჭრის წესი

7.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 „მხარეთა“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ან მის საფუძველზე წარმოშობილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. თუ „მხარეები“ მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავის გადასაწყვეტად „მხარეები“ მიმართავენ საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.

მუხლი 8. სხვადასხვა დებულებები

8.1 „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ქმედუნარიანი ძალის მქონედ მიიჩნევა, თუკი ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე „მხარის“ მიერ.

8.2 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის მის საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.

8.3 წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

8.4 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

8.5 წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემა „მხარეებს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

„დამკვეთი“
შპს „ბი. აი. ჯი“

ლაშა ხარშილაძე
დირექტორი

„შემსრულებელი“
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი